№ 159 ივლისი 26, ხუთშაბათი 1890 ივლისი 26, ხუთშაბათი № 159

# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„Иверія" (ежедневно).
КУТАИСЬ
2-й гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარსევანოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გაზეთი „ივერია" პირველის აგვისტოდგან წლის დამლევამდე ღირს 5 მან. და 50 კაპ.

ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის პოლიციის უფროსს ბ-ნ მასტიცკის ტყიბულის ბოქაულისაგან ამბავი მოუვიდა, რომ აქ შეძიპყარით რაჭველი კაციტაძე, რომელმაც წარსულ თვეის 22-ში ტფილისში მოიჯარადრე მიხეილოვს სასახლის ქუჩაზე, სასტუმროში, 2164 მანეთი მოჰპარა. კაციტაძეს მალე გამოჰგზავნიან ტფილისში.

*** ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ გაზ. „კავკაზი"-ს რედაქტორ-გამომცემლად, ერთის წლის ვადით, ბ-ნი ოპოჩინინი დაუმტკიცებიათ, ე. ი. 1891 წლიდგან 1892 წლის 1 იანვრამდის.

*** ამ დღეებში ნემეწცების ქუჩაზე, შუა ბაზართან, ვიღაცა ორი მთვრალი კაცი მოდიოდა. ამათ უკან დაედევნა ორი ავაზაკი, რომელთაც ამ ნახვამს კაცებს სცემეს, ოც-და-ათ თუმნამდე ფული წაართვეს და გაიქცნენ. ამ დროს პოლიციის მოხელემ მოასწრო ავაზაკთა და დააპატიმრა.

*** ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში მისაღები ეგზამენები 24, 25, 27 და 28 აგვისტოს იქმნება. ადგილი 20 ია. ღარიბთაგანს, ვინც უკეთ დაიჭერს ეგზამენს, სახელმწიფო ხარჯით მიიღებენ. დანარჩენები-კი თავის ხარჯით უნდა შევიდნენ ინსტიტუტის პანსიონში. პანსიონში შესვლისათანავე შეგირდმა 30 მანათი უნდა გადიხადოს და შემდეგ 5 სექტემბრამდის ნახევარის წლის ფული. პანსიონში ყოფნისათვის წლის გარდასახადი 150 მანათია და სწავლისა— 15 მანათი. გარდა ამისა, შეგირდის მშობლებს ან მზრუნველებს ხელ-წერილი ჩამოერთმევათ, რომ ფულს თავთავის დროზედ გადაიხდითო.

*** გორი: ამ რამდენისამე დღის წინად ქალაქის სასწორზედ ნაშუადღევის სამ საათზე უეცრად გარდაიცვალა მანუჩარ ალელოვი. საბრალო ტომარაზედ იჯდა ფეხი-ფეხ შემოდებული, ათამაშებდა კრიალოსანის თლებს და ელაპარაკებოდა იქვე მდგომ სამიოდ-ოთხიოდე კაცსა. ამ ლაპარაკის დროს უეცრად გადმოვარდა ტომრიდამ და უეცრადვე განუტევა სული. ექიმი მიიწვიეს მაშინვე, მაგრამ ვერაფერი ვერ უშველა. პატრონები თუმცა მცხედრის გაჭრის ნებას არ აძლევდნენ, მაინც გასჭრეს და ექიმების სიტყვით, აღმოჩნდა, რომ გულის სიგანიერე მოსვლია. დარჩა საბრალოს ცოლი და ერთი პატარა ქალიშვილი.

*** ზემო-იმერეთი: ჩვენ ვნახეთ იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიწერილობა ბლაღოჩინების მიმართ. ამ მიწერილობაში მოხსენებულია შემდეგი: „უმაღლეს მთავრობას ჰსურს გადასდოს ყოველ-წლივ საერთო ფულიდგან ათას რვაასი მანეთი დასაარსებლად იმერეთის ეპარქიაში ერთის ორ-კლასიანისა და ორის თითოკლასიანის სამრევლო სკოლებისა". აცნობებს რა ამ ამბავს მისი ყოვლად - უსამღვდელოესობა, სთხოვს, თავისი აზრი წარმოადგინოს თითოეულმა ბლაღოჩინმა იმის შესახებ, თუ სად და რა ადგილას ემჯობინება სკოლების გამართვა. საეპარქიო სამოსწავლო საბჭო განიხილავს თქვენ მიერ წარმოდგენილს აზრს და იმის მიხედვით ამოარჩევს სასკოლო სოფელსაო.

*** იქიდამვე: მოგეხსენებათ, რომ სოფელ შუქრუთიდგან, პერევისიდგან ® ამ ბოლო ხანებში ითხვისიდგანაც დიდძალი შავი ქვა გზდადის ყვირილაში და გოშას. მაგრამ ეხლა, ცოტა არ იყოს, მუშაობა შესწყდა, რადგანაც სასოფლო მუშაობის დრო დადგა. გადატან - გადმოტანის ქირის ფასიც მოუკლეს.

*** იქიდგანვე: ზემო - იმერეთში მკა, კაი ხანია, გათავდა. ეხლა გაცხარებული კალოობაა. პური ნამქად ცოტა მოვიდა. მოსავალი გვარიანია. აქეთკენ საქონლის ჭირი გაჩნდა.

*** ზემო-იმერეთი: სოფელი კალუათა. კალუათაში პეტრე - პავლობა ღამეს გლეხმა გრ. შე—შვილმა მუცელში დანა დაიკრა და თავი მოიკლა.

*** ბრეთი (გორის მაზრა): კნეინა ეკატერინე ესტატე ციციშვილის ასულმა ავალიშვილისამ განიზრახა, მომავალ „დედათა სასწავლებლის" სასარგებლოდ, მოჰკრიბოს პური, აქციოს ფულად და გაუგზავნოს სადაც ჯერ არს. ამიტომ თავის ნაცნობთ და ნათესავთ მისწერა წერილები, რომ იმათაც მოჰკრიბონ პური კალოობაზედ ამ კეთილის საქმის სასარგებლოდ.

*** იქიდამვე: ბრეთში პურისა და ქერის მოსავალმა მეტად გაახარა ხალხი: დღიურზე, მოსავალის შუათანა რიცხვით, $7^1/_2$ კოდი გამოსავალი აქვს. ამასთანავე წრევანდელისთანა წმინდა და თეთრი პური დიდი ხანია არ მოსულა აქეთ.

*** უფროსს გამგეს სურამის გვირაბისას ტფილისის სამაზრო მმართველობისათვის უთხოვნია, ღონისძიება რამე იხმარეთ, რომ უზრუნველ იქმნეს სიცოცხლე და ქონება იმ ინჟინერებისა და ტეხნიკოსებისა, რომელნიც მალე შეუდგებიან კავკასიის უმთავრეს ქედზე რკინის გზის გაყვანის საქმის გამოძიებასაო. ინჟინრები შემდეგს ადგილებს დაათვალიერებენ: ავჭალიდგან დაწყებული დიდ არაგვის სანაპიროებს სოფელ ქვეშამდის, შემდეგ ფშაველის არაგვის გაყოლებას სოფ. ორთწყამდის, მას უკან ხევსურეთის არაგვის სანაპიროებს მდ. გუდალის შესართავამდის და არხოტის უღელტეხილს კავკავამდის, მდ. ასსასა და სუნჯის სანაპიროებს, აკიურტის უღელტეხილითურთ. („კავ.").

*** გაზ. „Кавказъ"-სავე სწერენ ბათუმიდგან: როტშილდის ქარხანაში, აქ, 1,000—1,500 მუშა იქნება. ქარხნის გამგეებს ამ უბედურებისათვის ბინაც ვერ მოუწყვიათ და მუშებს ზოგს დუქანში სძინავს, ზოგს სადა და ზოგს სად. გარდა ამისა, მუშა, თუ ავად გახდა, ქარხნის ექიმის შემწეობას ვერ ეღირსება ხოლმე და ღვთის ანაბარად რჩება.

*** ყვირილა: აქამდის შავის ქვის საწყობი თუმცა ჩვენის დაბის განაპირას იყო გამართული, მაგრამ შავმა მტვერმა მაინც მთლად მოჰფინა და დაჰფარა აქაობა და ყველაფერს: სახლს ქუჩას, ჰაერს და თვით ადამიანს შავი ფერი დაადო. ახლა ეს აღარ გვაკმარეს და ერთი შავის ქვის მწარმოებელს ნება აულია შიგ შუაგულ დაბაში გამართოს საწყობი და ძნელი

## ფელეტონი

### მოგზაურობა კახეთში

მისის ყოვლად უსამღვდელოესობისა, ალავერდის ეპისკოპოზის ბესარიონისა.

„ივერიის" მკითხველებმა უკვე იციან, რომ სასულიერო მთავრობამ მიანდო მისს ყოვლად უსამღვდელოესობას ალავერდის ეპისკოპოზს ბესარიონს კახეთის ეკკლესიების მოვლა და სამრევლო სკოლების და სამზრუნველოების დაარსება თითოეულს მრევლში. ჩვენ წინად გამოვსთქვით ჩვენი აზრი და სრული იმედიც ყოვლად სამღვდელო ბესარიონის ენერგიულს მოქმედების გამო და არც გაგვიმტყუნდა მოლოდინი. ყოვლად სამღვდელო ბესარიონი გაემგზავრა თელავიდგან კახეთის დაბად და სოფლად ამ წლის თიბათვის 9-ში, მიბრძანდა სიღნაღის მაზრაში სოფელს კარდანახს; იქიდგან დაჰყვა სოფლიდგან სოფლად ჩვენს ისტორიულს ხირსის მონასტრამდე, გადავიდა პირ-იქით უკანა მხარეში, მოიარა იქაურობა, მთლად სიღნაღის მაზრა, გამოიარა სოფელს, ველი-ციხეზე და გაბრძანდა გაღმა მხარში ს. გავაზსა და ახალს სოფელს თელავის მაზრაში, დაჰყვა იქიდგან და 7-ს მკათათვეს მობრძანდა ს. კონდოლს, კისისხევს, შალაურს, კურდღელაურსა და ვარდის უბანს; 8 მკათათვეს გაემგზავრება თელავის მაზრის ზემო-ნაწილში და, იმედია, ამ ერთის კვირის განმავლობაში სრულიად მიმოივლის მთელს სამწყსოს.

მისს ყოვლად უსამღვდელოებას ყოველს ეკკლესიაზე დიდის სასოებით მოელოდა დანიშნულს დროს შეკრებული მრევლი—ქალი და კაცი. მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ყოველს ეკკლესიაში წარმოსთქვა მდაბიურის ენით მარტივი და გრძნობით სავსე მოძღვრება-ქადაგებანი შესახებ კაცთმოყვარეობისა, მართლ მადიდებლის სარწმუნოების განმტკიცებისა, სწავლის მნიშვნელობისა აწინდელს დროში, სამრევლო სკოლებისა და სამზრუნველოების დაარსებისა და სხ. და-სხ.

ყოვლად სამღვდელოს გამჭრიახმა, მოხერხებულმა და სამშობლო ენაზე წარმოთქმულმა ქადაგებამ დიდი სასიკეთო გავლენა იქონია მთელს კახეთის მრევლზე. ეს იქიდგანაცა სჩანს, რომ თითქმის კახეთის ყველა ეკკლესიის მრევლმა შეადგინა განაჩენი, როგორც სამზრუნველოსი, ეგრეთვე სამრევლო სკოლის დაარსებისა იქაც-კი, სადაც სადირექციო სასოფლო სკოლა არსებობს.

**

ამ თთვის 7, როგორც ზევით არის ნათქვამი, მობრძანდა ყოვლად სამღვდელო სოფ. კონდოლიდგან კისისხევს დილის 11 საათზე. ხალხი— თავად-აზნაურობა, გლეხობა, დიდი და პატარა, კაცი და ქალი დიდ ძალი იყო შეკრებული, მცირე პარაკლისის შემდეგ ყოვლად სამღვდელო გამობრძანდა ეკკლესიიდგან, ჩადგა ხალხში და წარმოსთქვა დაახლოვებით შემდეგი:

ძმანო ჩემნო, თქვენ უთუოდ გაგიგონიათ დღეს ჩემი აქ მოსვლა, რომ ასე მრავალნი შეკრებულხართ ამ ღვთის ტაძართან. მადლობას გიხდით და ამასთანავე გეტყვით იმასაც, თუ რა არის მიზეზი დღეს ჩემის თქვენთან მოსვლისა; მღვდელ-მთავარი მოვალეა ყოველს სამი წელიწადში ერთხელ დაიაროს თავისი სამწყსო ერი და გაიგოს, ასრულებენ თუ არა იგინი ქრისტეს სჯულსა და სარწმუნოებას, და, რადგანაც მათი მაღალყოვლად-უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი პალადი, რუსეთში წაბრძანდა და ამ ხნობით ვერ მოიცალა, რომ მოევლო აქაურობა, ამისათვის მომანდო მე, მის თანაშემწეს, მიმოვლა კახეთის მართლმადიდებელ ეკკლესიებისა და მრევლთა. ამისათვის ჯერ მინდა ვკითხო თქვენს მოძღვარს, რაოდენად ასრულებთ თქვენ ქრისტეს სარწმუნოებას:

— მამაო (მიჰმართა მღვდელს), დაიარება ეკკლესიაში თუ არა თქვენი მრევლი წირვა-ლოცვაზე?

— ძალიან ცოტანი დაიარებიან, თქვენო მეუფებავ.

— ეზიარებიან თუ არა?

— ეზიარებიან ხოლმე ის მცირეოდენნი, ვინც დადის ეკკლესიაში.

— აღსარებას ამბობენ?

— ვინც ეზიარება, მხოლოდ ისინი ამბობენ აღსარებას.

„ძმანო და შვილნო! აი რას ამბობს თქვენი მოძღვარი?! დიდი ცოდვაა ყოველ ქრისტიანესათვის, რომ მან უღალატოს წირვა-ლოცვას, არ უთხრას ყოველს წელიწადს მღვდელს აღსარება და არ ეზიაროს! —რად სჩადიხართ, შვილნო, ამას?

— რა ვქნათ, თქვენი ჭირიმეთ, ვერა ვცლილობთ, დაიძახა ერთხმად რამდენმამე გლეხმა, ათასი ბეგარაა გადასახადიო, ფოსტის ფულია, ბატონია, ხემწიფეა, უფროსია, ჩინოვნიკია— ყველას სამსახური ჩვენა გვმართებს. რო ველარ ავდივართ, რო ველარა ვსწვდებით, რა ვქნათ; თორე ზიარებას და წირვა-ლოცვას როგორ მოაკლდება ქრისტიანი კაცი?!

— მოითმინეთ, შვილნო! —ბრძანა ყოვლად სამღვდელომ მუშაობა ღმერთმა ამ გვარად დაგვიწესა, ექვსი დღე უნდა ვიშრომოთ და მეშვიდე დღეს უნდა მოვისვენოთ ქვეყნიურის შრომისაგან და ვიშრომოთ სულისათვის და საუკუნო—ცხოვრებისათვის. ეს მეშვიდე დღეა კვირა და მაშინ უთუოდ უნდა მიხვიდეთ ეკკლესიაში ყველანი—დიდი და პატარა და ევედროთ ღმერთს თქვენისა და ქვეყნის სიკეთისათვის.

— ამასთანავე, ძმებო, — განაგრძო ყოვლად სამღვდელომ,—უნდა გესაუბროთ კიდევ ერთის საგნის შესახებაც: ყველა თქვენგანმა კარგად იცის, რა ძნელია დღისით თვალებ ახვეულ კაცისათვის ოღრო-ჩოღრო გზებზე სიარული. ვინ არ იცის, რომ თვალებ ახვეული და ბრმა ხშირად დაიმტვრევს ცხვირ-პირს უცნობ გზაზე სიარულში და შესაძლებელია კლდეზედაც გადავარდეს, მოკვდეს და წასწყმდეს სულითაც და ხორცითაც, და ეხლა გკითხავთ, მადლი არ იქნება და არ ემჯობინება, რომ ამ გვარ ბრმებს აუხილოს კაცმა თვალები, რათა ისინიც ისე თავისუფლად დადიოდნენ გზაზე და ჰხედავდნენ, როგორც ეხლა ჩვენ ვხედავთ ერთმანეთს??

— როგორ არა, შენი ჭირიმე, ემჯობინება, მაშა! —შესძახა ხალხმა.

— მაშ, აი შვილო, ამ გვარი სიბრმავე და თვალების ახვევაა უსწავლელობა. ისე გადავარდება კლდეზე, ე. ი. ჩავარდება შეცდომაში, ცოდვაში უსწავლელი კაცი, როგორც ბრმა უცნობს გზაზე. სწავლა-კი არის თვალ ხილულობა ისეთი, როგორც ჩვენ ეხლა ვხედავთ ერთმანეთს. სწავლა ბნელში გამანათობელი ლამპარია, რომელიც ისე დაგვანახვებს ყოვლსავე წუთის სოფლის ავსა და კარგს, როგორც ახლა აი აქ ჩვენა ვხედავთ ერთმანეთს. მაშასადამე, სწავ-

წარმოსადგენია, ამას იქით ჩვენი დაბა რა ყოფაში ჩავარდება („ახ. მიმ.“).

*** ივლისის 23, ღამით, ელისაბედის ქუჩაზე, ბორისოვის სახლში პოდპოლკოვნიკის მეუღლის ელიკონიდე ალექსანდრეს ასულის ტიმჩენკოს სადგურიდგან მოიპარეს ვერცხლის კოვზეულობა, შაქრის მაშა და ჩაის საწური, სულ 50 მან. ღირებული. საქმე გამოიძიეს და ბრალი ქურდობაში დასდეს იმისავე მოსამსახურედ მყოფს სუხუმის ბატალიონის ჯარის-კაცს პავლე ვარკუს.

*** ამავე დღეს, პოლიციის მეოთხე ნაწილში, ლაბორატორიის ქუჩაზე, ლამბარონის სახლში, ტფილისის მცხოვრებელს მიხეილ გერასიმეს-ძე სარაჯოვს მამათ-მავლობა ჩაუდენია 18 წლის სპარსეთის ქვეშევრდომს გაბრიელ სარქისოვთან. დამნაშავე შეიპყრეს, ოქმი შეუდგინეს და გამომძიებელს გადასცეს.

*** ივლისის 24, ღამის 11 საათზე, ცხენის რკინის გზის კანტორის ეზოში იპოვნეს შვიდის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

◆◆

## ხელ-საქმე გურიაში

ვისაც რკინის გზით ბათუმისაკენ უმოგზაურნია, უეჭველად თვალს მოჰკრავდა ღ. ლანჩხუთს, იმ ლანჩხუთს, რომელსაც ახალი ევროპიული ნაწილი, უფრო გამშვენიერებული, რკინის გზისკენ გაუწევია და ძველი, აზიური ნაწილი-კი, უკან მოუფარებია, რომ გარეშე კაცმა არ დაუნახოს. ლანჩხუთელების აზრით, ყველაფერს თვალი ხვამს და თვალი სჭამს და ამტომაც უფრო ლამაზად მორთული ქუჩა სათვალოსაკენ მოუქცევიათ. დიაღ, ლანჩხუთი ბევრს ექნება ნანახი, მაგრამ ის-კი არ ეცოდინება ყველას, რომ ლანჩხუთელ მანდილოსანთა უმრავლესობა თვით ცის მნათობთაც-კი შეეცილება სიტურფესა და სიკეკლუცეში. მართლა და იშვიათია დასავლეთ საქართველოში ისეთი კუთხე, რომ დედათა სქესის სიკეთე ლანჩხუთთან დაიჩემოს. მაგრამ ყველაზედ უფრო სასიამოვნო ის არის, რომ აქაური მანდილოსნები მარტო სილამაზეს არ სჯერდებიან და ცდილობენ გარეგანს სილამაზეს გვერდში ამოუყენონ ისეთი ღირსებაც, რომელიც თვით სიღუხჭირესაც-კი ფასს დასდებდა, თუ ამხანაგად ეყოლებოდა. მე მოგახსენებთ ხელ საქმის ამბავსა. აბრეშუმის ჭიის ყოლა აქ უფრო გახშირებულია, ვიდრე სხვაგან სადმე გურიაში და დიდძალი აბრეშუმიც მოჰყავთ. ამ აბრეშუმს ლანჩხუთელები სხვებივით ჩალის ფასად არ ჰყიდიან: შინვე ამზადებენ სხვა-და-სხვა ნაქსოვებს და კაი ფასადაც ასაღებენ ბაზარში, მაშასადამე, ქალები აქ გულხელ-დაკრეფილი არა სხედან და ცას არ შესცქერიან, აცა, რას გადმოგვიგდებსო. ვისაც უნდა დარწმუნდეს, მართალია თუ არა, რასაც ვამბობ, უნდა დაესწროს აქაურს ბაზრობას, რომელიც ლანჩხუთში ყოველ პარასკეობით იმართება. აქ თქვენს ყურადღებას მიიქცევს ხელოვნურად დამზადებული შალები, შალ-აბრეშუმები, აბრეშუმის დარაიები, ბაშლაღები, წინდები და სხვ. ზოგი ამ ნაქსოვთა შორის ქარხანაში დამზადებულ ფართალსაც-კი უკან ჩამოაყენებდა სიკეთით. ამგვარად ყველგან ჩვენს გურიაში და ყველასაგან დევნილს საშინაო მრეწველობას ლანჩხუთში შეუფარებია თავი და იქ აპირებს სულის მობრუნებას; გურიის დანარჩენს სოფლებში მისი სახსენებელიც არ არის და, თუ არის, ათასში ერთს რომელსამე სანახევროდ დაბრმავებულს ბებრუკუნას ძველადგანვე სჩვევია, სხვაზე არ გადადის და პატრონთან ერთად აპირებს სულის დალევას. მე რომ ლანჩხუთში მომზადებული ნაქსოვები ვნახე, უნებურად ვიფიქრე: რა მოსვლია დანარჩენ სოფლებს, რომ მაგგვარების ხსენებაც არ არის მეთქი იქ. რად თაკილობენ ახალგაზრდა ქალები ამ გვარებში ხელისგაჰუჭყიანებას და რად შეუქცევიათ ზურგი ჩვენს მანდილოსნებს ამ პირდაპირის მოვალეობისათვის, იმ მოვალეობისათვის, რომელიც თვად ღვთის მშობელმა საკუთარის მაგალითით უანდერძა ყოველს ქალს? მე ეხლა ამის პასუხის თქმა აზრადაც არ მაქვს, მხოლოდ მინდა გაკვრით აღვნიშნო ის მდგომარეობა, რომელშიაც დღეს იმყოფება ჩვენში ხელ-საქმე და რომელშიაც რამდენისამე წლის წინედ იმყოფებოდა. საკვირველია, ღმერთმანი! ბატონ-ყმობა გადავარდა, სოფლელის შრომა თავისუფალია, ცოტა განათლებაც შემოვიდა, ის განათლება, რომელმაც ყველა ქვეყნებში ქალის საქმე და მისი როლი წუთი სოფლის მეჯლიში წინ წამოაყენა და ჩვენში ეს სასარგებლო და სასახელო საქმე უკან წავიდა, ჩრდილში მიდგა. შინაური მრეწველობა, ხელ საქმე, ჭრა-კერვა, ქარგვა-ქსოვა დღეს ჩვენში ხელ-საყრელ საქმედ არავის მიაჩნია; სოფლად ან სულ არა იქოვება-რა და, თუ სადმე გადაეყრები ნაქსოვს, იმდენად დაბლა სდგას ქარხნის ნაკეთებზე, რომ ან სულ არ მიგინდება საყიდლად, ან და ისე მცირე ფასს შეაძლევ, რომლითაც მწარმოებელი მარტო მასალას ვერ იყიდდა.

სულ სხვა იყო წინედ. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, როცა მთელი ჯალაბობა შინ დამზადებულის ნაქსოვით იმოსებოდა და მხოლოდ მცირე ნაწილი უფრო შეძლებულებისა თუ მიიქცევდა პირს დუქნისკენ. თითქმის ყველა ქოხის დერეფანში ნახავდი გამართულს საფეიქროს, რომელსაც ხშირად, ძლიერ ხშირად, უჯდა მარჯვე დიასახლისი და ქმარ-შვილს უმზადებდა ხალიათებს. ქმარს თუ წლის სარჩო მოჰყავდა, ცოლი სადილ-ვახშამს უმზადებდა, საქონელს და ფრინველს უვლიდა, უქსოვდა: საჩოხე შალს, წინდებს, ბაშლაღს, საპერანგე დარაიას, ან ტილოს, ხამს ბამბისასა, სამყადს სარტყლებს და სხვ. ქმარსა და შვილს ჰმოსავდა და ხარჯის გარდახდაშიაც თავისის წვლილით მონაწილეობას იღებდა. ამ გვარად ქმრის ნამდვილი ამხანაგი იყო, ჭირისა და ლხინის მოზიარე, ცხოვრებას უადვილებდა, ქმართან ერთად ეწეოდა ცხოვრების მძიმე უღელს; ერთის სიტყვით, ნამდვილი მეუღლე იყო და ბარგად არა ჰყავდა აკიდებული ქმარსა. მაშინ დრო იყო ისეთი, რომ უსაქმობა და ცუდაობა მანდილოსანს სირცხვილად ეთვლებოდა, ხელ-საქმე სავალდებულო იყო და ქალიც დროს შესაფერად ხარკს იხდიდა. „ისეთი მეოჯახეა, ისეთი, რომ ცივს ქვაზე დაასახლებს, ვისაც შეხვდებაო“, აი საუკეთესო ქება, რომელსაც წინად გასათხოვარ ქალის შესახებ ამბობდნენ, მამაკაცს თუ ცხოვრება გაუძნელდებოდა მარტოს, ბრძოლის გასაადვილებლად და დაბრკოლების დასაძლევად, დედაკაცს გაიტოლებდა. ცოლის შერთვამდის რომ მთელი პერანგი არ ეცვა და მას შემდეგ სული მოიბრუნა, ასეთი მაგალითი ძვირი არ იყო წინად. ეხლა-კი ყველა ღარიბი კაცი ცოლის შერთვას ერიდება. ხშირად ნახავ ქალარა შერთულს კაცს, საკმაოდ ხელ-მოთაბარესაც, რომ ცოლის შერთვა ვერ გაუბედნია; ტვირთია და ვერ ვზიდავო.

ამაში ცოტა სიმართლე არ ერიოს, არ შეიძლება. გლეხ-კაცის ოჯახის არსებობა შრომაზედ არის დამყარებული, მისი კეთილ-დღეობა მის მარჯვენაზედ აგებულია და აქ თვითეული მუშა ხელი ხიდია, სამაგიეროდ ყოველი უქმი ხელი აუტანელი ტვირთია. ძველად ქალი ვაჟს უცვლებდა და ვაჟიც ეშურებოდა მასთან შეუღლებას. დღეს კიდევ ნახავთ ჩვენში ისეთ ქალებს, რომელთაც ქმრის შემდეგ ოჯახი თუ ფეხზე ვერ წამოაყენეს, უკან მაინც არ დაუწევიათ, მაგრამ ეს ნაშთია წარსულისა და არა ნაყოფი აწმყოსი, დღეს სულ სხვა ნაირად შეიცვალა საქმე. ჩვენც სხვა შეხედულობისა ვართ ქალების საქმეზე.

ესთქვათ, მე მე ქალით გამაბედნიერა ღმერთმა (გამაუბედურა უნდა მეთქვა, თუ გურულებს ავყვებოდი, რადგანაც ჩვენში ქალის ყოლა უბედურებად ითვლება). წამოჩიტდება თუ არა, დავუწყებ სწავლებას, მაგრამ რას ვასწავლი? იქნება იფიქროთ, რომ წერა-კითხვა ვასწავლო? შენც არ მომიკვდე! ლუარსაბის სიტყვა არა მჯერა, წერა-კითხვა მხოლოდ ვაჟის ხელობად მიმაჩნია; ქალს-კი ვასწავლი: ჩონგურს, გარმონიკას, ან როგორც აქ ეძახიან, „პუზიკას“, ცეკვას და ყველა ამებს რამდენისამე ზრდილობიანის სიტყვისა და რიგიანის მიხვრა-მოხვრის სწავლებით ავგვირგვინებ. გასათხოვარი მზად გახლავთ. რომელი ოჯახი გინდა, რომ ფეხზე არ წამოაყენოს ამ ცოდნით? ეხლა მოუყრი თავს რამდენსამე მანეთს, ცოტა რამ ნივთებსაც და ყველა ამასთან ჩემს ქალს უმზითევებ თავის მოვალეობის შეუგნებლობას, სრულს უვიცობას და გავათხოვებ ისეთს ოჯახში, სადაც, მაჭანკალის სიტყვით, დედოფალივით უნდა შეინახონ.

გავყევეთ ეხლა და ვნახოთ: რას აკეთებს ის ქმრის ოჯახში? ჩვენში ისეთი ოჯახი, რომ ქალი დედოფალივით შეინახონ, არ არის. ამაში ჩვენი პატარძალიც მალე დარწმუნდება და სამის დღის უკან დედოფლობასაც თავს ანებებს და ოჯახობას შეუდგება. ამ დროს თუ ცხოვრებაში გამოცდილი დედამთილი შეხვდა ხელმძღვანელად, ხომ კარგი, და, თუ არა, მის ბორძიკს და შეცდომებს ანგარიში არა აქვს. მისი საქმიანობა მარტო სადილ-ვახშმის კეთებაზე ჩამოხდება და კიდევ კარგი, თუ რამდენიმე ფრთა ქათამი და ხუთიოდე ინდაური ან ბატი გაიჩინა და გაზარდა. რაც ამას დრო გადარჩება, სულ ოხერაში ატარებს, საღამოს-კი მოჰყვება წუწუნს: „სწორედ დაწყევლილია ქალის გაჩენა; მთელი დღე ვცოდვილობ, ვტრიალებ, ერთხელ მუხლი არ ჩამიკეცია და ჩემი ნამოქმედარი მაინც თვალით არა სჩანს. ერთი ჰკითხეთ, რა უნდა გამოჩნდეს თვალით, საცა სათვალო არა გაკეთებულა-რა?

◆◆

---

ლისთანა არა ყოფილა რა, ძმანო, ჰაა!

— მართალია, შენი ჭირიმე.

— მაშ აი რას გეტყვით: თქვენ უნდა შეადგინოთ განაჩენი მასზედ, რომ დააარსოთ ამ თქვენს ღვთის ტაძართან სამრევლო სკოლა. მასწავლებლად იქნება მუქთად და უსასყიდლოდ თქვენივე მღვდელი, თქვენ დაგჭირდებათ მხოლოდ აი ამ ნანგრევზე (გალავანში ერთი კედელი დგას ძველის, მაგარის შენობისა) კიდევ სამის კედლის მიშენება და გადახურვა, გაუკეთებთ ბუხარს, რომ სიცივეში თქვენივე შვილები დათბენ, იშოვნით რამდენსამე სკამს სწავლის დროს ბავშვების დასაჯდომად და ცოტაოდენ მოწყობილობას სკოლისათვის. ოსტატი და მასწავლებელი აგერ მზად არის, დღეიდგან ვუბძანებ თქვენს მღვდელს, მუქთად და ბეჯითად ასწავლოს თქვენს შვილებს წერა კითხვა, ღვთისა და ქვეყნის სამსახური, მშობელთა და მოყვასთა სიყვარული და პატივის ცემა და სხვა, მხოლოდ თქვენ ყველანი მოვალენი იქნებით, რომ ყველა თქვენგანმა მიიყვანოთ და მიაბაროთ სკოლაში ბალღობა, რამდენიც-კი გეყოლებათ ოჯახში. თანხმანი ხართ თუ არა, ძმებო??

— თანახმა გახლავართ, თანახმა, გაისმა ხალხში. მაგრამ, სთქვა ერთმა გლეხმა ყოყმანითა: ჩვენა გვაქვს, თქვენი ჭირიმე, სასოფლო სკოლა, თუ თქვენის შეწევნით იმას გადაუკეთებთ სამრევლო სკოლად და იქ ასწავლის ჩვენი მღვდელი მუქთად, მაგას რაღა აჯობებს, რომ მასწავლებლის ხარჯი მაინც მოიშოროს სოფელმა თავიდგან და, თუ მაინცა და მაინც ეს აღარ მოხერხდება, დავადგენთ განაჩენს, რომ სამრევლო სკოლაც უთუოდ გვქონდეს და კიდევაც შევუდგებით საქმეს.

— კიდევ მომისმინეთ, შვილნო ჩემნო! თქვენა გყავსთ ეკკლესიის მნათე, სტაროსტა?

— გახლავთ, მაგრამ დამტკიცებული არ არისო — უპასუხა მღვდელმა.

— მაგ განაჩენთან ერთად, ბრძანა მღვდელ-მთავარმა, — დაადგინეთ განაჩენი მასზედაც, რომ ამოირჩიოთ ფრიად კეთილ-სვინიდისიერი სტაროსტა და სამი კაცი, ღვთისა და კაცის ყოვლად მოყვარული და პატივის მცემელი, მზრუნველებად. მზრუნველნი ეცდებიან ეკკლესიისა და სამრევლო სკოლის რიგზე დაყენებას და კეთილად წარმართვას, იმათ ცოდნებით და იმათ ხელში იქნება ეკკლესიის შემოსავალ-გასავალი და ისინი უფრო ხელ-მარჯვედ დაიჭერენ საქმეს, ვიდრე დღემდის ყოფილა. შეიძლება ეკკლესიას რამე ნივთი სჭირდებოდეს სასყიდლად და, თქვენი მღვდელი რომ თუმანს მისცემს, ის ნივთი თქვენმა ამორჩეულმა მზრუნველებმა ხუთ მანეთად იყიდონ, ამითი თქვენც მოგება დაგრჩებათ და აღარც მღვდელზე გექნებათ ეჭვი, რომ ბევრ ფულს ჰხარჯავს ეკკლესიისასაო...

— ეგ ძალიან კარგი გახლავთ, თქვენი ჭირიმეთ, — მაგრამ ერთი ეს გვიბძანეთ, შეიძლება თავად-აზნაურთაგანიც ამოვირჩიოთ მზრუნველად?

— შეიძლება. როგორ არა შეიძლება.

შემდეგ ყოვლად სამღვდელომ მიჰმართა მამასახლისს:

— „მამასახლისო! რამდენი კომლი კაცია ამ შენს სამამასახლისო კისის ხევში?

— ორასზე მეტი გახლავთ: თქვენო მეუფებავ.

„შენა ხარ იმ ორასის კომლი-კაცის მამასახლისი და გესმის კარგად, ჩემო ძმაო, რა არის მამასახლისი? შენ სოფელმა იმიტომ ამოგირჩია, რომ კერძო საქმეებს-კი აღარ უნდა გამოუდგე, არამედ მოუარო და უპატრონო სოფელს ისე, როგორც კეთილი და გონიერი მამა უვლის თავის საკუთარს შვილებს. შენი პირდაპირი მოვალეობაა, რომ ყველა კეთილი ურჩიო და გააკეთებინო შენს საზოგადოებას. დაადგენინე ხვალვე განაჩენი საზოგადოებას, რომ ყოველს კვირა-უქმეს იარონ ეკკლესიაში, შუადღემდის ანუ წირვის გამოსვლამდის იქმნას დაკეტილი სასოფლო სამმართველო და აგრეთვე სავაჭროები და დუქნები შენს სამამასახლისოში. თუ ვინიცობაა, ვინმე დააკლდეს წირვა-ლოცვას და ფრიად პატივსადები მიზეზი არ წარმოუდგინოს, რა მიზეზითაც დააკლდა წირვა-ლოცვას, გადაახდევინე შეძლებისა-და გვარად ჯარიმა, სასარგებლოდ ეკკლესიისა და სამრევლო სკოლისა, რომ ამ ფულით და სანთლის ფულით გამოიწერონ სამრევლო სკოლაში გაზეთი და სხვა სასარგებლო წიგნები, რომ თქვენმავე შვილებმა წაიკითხონ და საღამოზე თავიანთ დედ-მამას უამბონ, რა ამბებია ქვეყნიერობაზედ.

**

ეხლა უნდა ორიოდე სიტყვა ვუთხრა დედათა ჩვენთაო, ბრძანა ყოვლად-სამღვდელომ, მიაქცია პირი თავის ქალებისაკენ და ასე დაიწყო:

დედანო და დანო! მადლობას გწირავთ, რომ ასე მრავლად დამხვდით შეკრებული, ფრიად და ფრიად მოხარული ვარ... მაგრამ — ერთმა შემთხვევამ-კი ძლიერ დამაღონა და გული გამიტეხა — სახელდობრ იმან, რომ — აბა, გადახედეთ თქვენს შვილებს და ძმებს, ამ პატარა ბავშვობას, რამდენ ათეულს შეუყრია თავი და მოსულან ლოცვა-კურთხევის მისაღებად და ჯვარის სამთხვეველად. ეს სასიხარულოა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თითქმის ვერც ერთმა წესიერად პირჯვარის გამოსახვა ვერ მოახერხა, თუმცა-კი ძლიერ ცდილობდნენ ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ხელით!

ნუ თუ დედები თქვენს შვილებს მოკლედ სათქმელს ლოცვებს ვერ ასწავლით? საღამოს უსათუოდ თქვენი შვილები ისე არ დაწვებიან დასაძინებლად, რომ არ გითხრან: „დედა, მეძინებაო“; ნუ თუ მაშინაც არ შეგიძლიანთ უთხრათ: „ახსენე, შვილო, ღმერთი, დაიწერე პირჯვარი და ისე დაწექი“. აბა ამას რა დიდი ჯაფა და შრომა დასჭირდება? (დედები წითლდებიან სირცხვილისაგან და თავს ჰლუნავენ). თქვენ ამას-კი არ სჩადიხართ და სოფელში რომ ჰორად გაიგონოთ, ან ყურში ვინმემ ჩაგჩურჩულოსთ: „არიქა, აქა-და-აქ მკითხავი მოსულაო“, მაშინ თქვენ ვერაფერი ვერ დაგაკავებთ, ისე გარბიხართ იმ მაცდურთან და მატყუარასთან და, თუ ფული ვერ მოახელეთ, პურს მოჰპარავთ თქვენს ქმრებს და იმას წაუღებთ!! ამ გვარის უგუნურობით ჰლუპავთ თქვენს ოჯახს და ანადგურებთ მამა-პაპის და ქმარ-შვილის მონაგარს!! — ცოლი უნდა იყოს დიდი მოსიყვარულე ქმრისა და ერთგული ოჯახისა და შვილებისა. პავლე მოციქული ამბობს: კარგი ცოლი უძვირფასესი გვირგვინია ქმრისა და ოჯახისაო, თქვენ დედა ბოძნი, სვეტნი ხართ ოჯახისა, შეიყვარეთ უფრო მეტად ქმარი და ოჯახი, იშრომეთ მხნედ და კეთილად და მაშინ ბარაქაც მიეცემა თქვენს ოჯახს და ღმერთიც გაკურთხებთ...

მღვდელ-ყური

(დასასრული ხვალ)

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამას წინად ჩვენს უცხოეთში გვქონდა ნათქვამი, რომ ოსმალეთმა უკვე აღასრულა ბოლგარიის სურვილი და ნება მისცა მაკედონიაში სამის საეპისკოპოსო კათედრის დაწესებისა იქ მყოფ ბოლგართათვისაო. ეხლა, თუ გაზ. „Гражданинъ"-ს დავუჯერეთ, ასეთი ნება-რთვა ჯერ სრულად არა ჰქონიათ მიღებული ბოლგარებს. ამ გაზეთის სიტყვით,

ოსმალეთმა ინგლისისა და სამთა კავშირის სახელმწიფოთა წარმომადგენლების რჩევით პირველში, მართალია, ნება დართო, რომ ბოლგარიის სამი ეპისკოპოსი დასახლებულიყო მაკედონიას—სკოპიასა, ფელესსა და ოხრიდში, მაგრამ, სერბთა სამწუხაროდ, შემდეგ ეს განკარგულება თითონვე დაარღვია.

ოსმალეთს იმიტომ დაურღვევია ვითომ თავისი განკარგულება, რომ რუსეთი, საბერძნეთი და სერბია წინააღმდეგნი ყოფილან, მაგეთს უფლებას ნუ მივცემთ ბოლგარიასო. გაზეთი იმ აზრისაა, რომ

სულთანის ირადემ ეპისკოპოსთა დანიშვნის ნება-რთვისამ სერბიელნი და ბერძენნი ააღელვა და ამ სახელმწიფოთა გაზეთებმა განგაში ასტეხეს. ამას გარდა რუსეთის ელჩმაც ხელ-ახლად გამოაცხადა თავისი წინააღმდეგობა. ეხლა თუ დავუჯერებთ, სტამბოლიდგან ბოლოს დროს მოსულს დეპეშებს, ოსმალეთს თავის ახალ განკარგულების განხორციელება ჯერ-ჯერობით შეუყენებიაო.

გაზ. «Гражданинъ»-ის სიტყვიდგან სჩანს, რომ რუსეთის ელჩს ორჯელ გამოუცხადებია ოსმალეთისათვის, რომ მაკედონიაში ბოლგარიის ეპისკოპოსთა ყოფნის ნებართვას ნუ მისცემ და ჩვენის მთავრობის საწყენს საქმეს ნუ ჩაიდენო. ამასობაში მეორე რუსეთის მომხრე გაზეთი, ბრიუსელელი „Nord"-ი, თავის მეთაურს წერილში ამბობს, რომ

რუსეთი ყურადღებას სულ არ აქცევს ესლანდელს ბოლგარიის მთავრობას, ხოლო იგი უწინდელებრ ბოლგარიის ერის სიკეთეს არის მოწადინებული და კიდეც ამიტომ არა სთქვა-რა, როცა ამ მთავრობამ რამდენისამე ბოლგართათვის სახეირო საკავშირო კონვენციით შეკრა დიდთა სახელმწიფოთ. ამავე მიზეზით რუსეთი წინააღმდეგობას არ გაუწევს მაკედონიაში ბოლგარიის ეპისკოპოსთა დანიშვნის საქმეს, თუ ეს საქმე წესიერად იქმნა წარმოებული, და ის ფერი და იერი არ დაედება, ვითომ ოსმალეთი ამ ნება-რთვის მიცემით ასე თუ ისე პრინცის ფერდინანდის მთავრობას კანონიერ მთავრობად აღიარებსო.

მოჰქავს რა ეს თავის წინააღმდეგი ამბავი «Nord»-დგან, რომ რუსეთი წინააღმდეგობას არ გაუწევს ეპისკოპოსთა დანიშვნის საქმესაო, „Гражданинъ"-ი დასძენს:

სამწუხაროდ ამ სიტყვების სიმართლე აშკარაა, აშკარაა, რომ რუსეთმა ერთხელ მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა, ბოლგარიის საეგზარხო შექმნა და ეხლა თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლის ბოლომდე მიჰყვეს თავის ცოდვასა და შეცდომას. არაფრად სასიამოვნო როლია! კიდეც ამითი აიხსნება გამბედაობა ოსმალეთისა, რომელმაც რუსეთის ამ საქმის წინააღმდეგობას სრულიად არ მიაქცია ყურადღებაო.

ამ ორის გაზეთის განსხვავებულ ნალაპარაკევიდგან ის აზრი უნდა დავასკვნათ, რომ რუსეთს ორჯელ წინააღმდეგობა გამოუცხადებია, მაკედონიაში ნუ დაინიშნება ბოლგარიის ეპისკოპოსებიო, მაგრამ ამასთან ისიც გადაწყვეტილი აქვს, რომ, თუ ვინიცობაა, ოსმალეთმა ჩვენს სურვილს არ მიჰხედა და ნება დართო ეპისკოპოსების მაკედონიაში ყოფნას, ამ საქმეს დროებით გავურიგდეთ და აურზაურს ნუ ავტეხავთო. ამას გარდა მტყუნდება ის მეშჩერსკის გაზეთის მიერ ნათქვამი, რომ თავისი განკარგულება ეპისკოპოსთა დანიშვნის შესახებ ჯერ-ჯერობით შეაყენა ოსმალეთმაო, რადგან იმავ №-რის მეორე გვერდზედ ამბობს ეს გაზეთი, რომ

დეპეშა და საზღვარ-გარეთის გაზეთები სულ სხვა-და-სხვა, ერთმანეთის წინააღმდეგს, ამბებს გვატყობინებენ ოსმალეთის გარდაწყვეტილების შესახებ. საფრანგეთის გაზეთები სწერენ, რომ ოსმალეთმა დაადგინა, თუ მაინცა და მაინც რუსეთის სურვილს სრულიად არ დაჰყვა, დროებით მაინც გადასდოს ამ საქმის დაბოლოებაო. რეიტერის სააგენტო და გერმანული გაზეთები-კი იუწყებიან, რომ მაკედონიაში ბოლგარელ ეპისკოპოსთა დანიშვნის ბარათები უკვე დაამზადა ოსმალეთმა და გადაწყვეტილიცა აქვს, რომ დაურიგოს ეს ბარათები ეპისკოპოსებსაო.

აქაც იგივე ორ ჭოში ლაპარაკი გამოდის და გადაწყვეტილს არას ამბობენ. აშკარაა მხოლოდ ის, რომ ოსმალეთი ყოყმანობს და ბოლგარიის ეპისკოპოსებს ჯერ კიდევ საბოლოოდ არ მიუღიათ მაკედონიაში წასვლის ნება-რთვა.

**

ამ ბოლგარიის საქმეში საფრანგეთის გაზეთები რომ რუსეთს ემხრობიან, ამას ეჭვი არა აქვს, რადგან ერთად-ერთი მოკავშირე გერმანიის წინააღმდეგ რუსეთი ჰყავს საფრანგეთს. ამ კავშირს რუსეთ-საფრანგეთისას ძალიანა სცდილობენ გერმანელები ძირი გამოუთხარონ, მაგრამ ძნელად თუ ელზას-ლოტარინგიის სრულიად დაუბრუნებლად მოახერხონ რამე ამ მხრივ და აისრულონ თავისი გულის წადილი. გერმანიისა და საფრანგეთის როგორმე მოსარიგებლად ბევრი წერილი იბეჭდება ორივ სახელმწიფოში, თუმცა ჯერ-ჯერობით ამ წერილებს თვალ-შესამჩნევი შედეგი არა მოჰყოლია-რა. მაგალითებრ, აი ეხლაც გერმანიაში გამოსულა ახალი წიგნაკი ამავე საგნის შესახებ. ეს წიგნაკი გამოცემულია მიუნჰენში და ეკუთვნის ცნობილს სამხედრო მწერალს, სამსახურ გარეშე მყოფს პოდპოლკოვნიკს კეტმაუს. „Новое Время"-ს სიტყვით, ამ წიგნაკის ავტორი სცდილობს დაუმტკიცოს საფრანგეთს, რომ

უეჭველად უნდა მოვრიგდეთ, რომ ერთად დავიხსნათ და დავიფაროთ ევროპის ცივილიზაცია „ბარბაროს" რუსეთისაგან. რუსეთის მხრიდგან ევროპას დიდი საფრთხე მოელის და ეს საფრთხე უფრო-და-უფრო ძლიერდება, რადგან რუსეთი თანდათან იკრებს ძალსა და ღონესაო. გერმანიის სიძლიერე კი არ უნდა სწყინდეთ ფრანგებს, უნდა უხაროდეთ, რადგან გერმანია საფრანგეთის დამცველი კედელია ყაზახთაგანაო. საკვირველია დიდად, რომ ამ კეთილის მნიშვნელობა არ ესმით ფრანგებს და სცდილობენ ეს კეთილ-საიმედო ზღუდე დაანგრიონ. რუსეთი მთელის ქვეყნის მბრძანებლობას არის მოწადინებული, ერთს ხელს იგი ინდოეთისაკენ იწვდის და მეორეს—დასავლეთ ევროპისაკენ. თუ ფრანგები არ ახქარდებიან და გერმანელებს არ შემოგვიერთდებიან, მოსკოველების ქვეშევრდომები შეიქმნებიანო.

გერმანიას გარდა, ზოგიერთი საფრანგეთშიაც არის გერმანიასთან მორიგებას მოწადინებული და საფრანგეთის სოციალისტები ხომ სულ ერთიანად გერმანიას ემხრობიან. ამას აშკარად ამტკიცებს, სხვათა შორის, ის ამბავიც, რომ საფრანგეთის სოციალურ დასის დეპუტატებმა თავი დაანებეს გაზ. „Combat"-ში თანამშრომლობას მხოლოდ იმ მიზეზით, რომ გერმანელ სოციალისტთა შეურაცხმყოფელი წერილი რად დაჰბეჭდეო.

# რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გარდასწყვიტა, სტავროპოლისა და კავკასიის სხვა გუბერნიებშიაც ახალი კანონი შემოიღონ იმის შესახებ, თუ როდის და როგორ უნდა აეკრძალოს ხოლმე იარაღის ტარება სხვა-და-სხვა უცხო ტომთა ხალხთ. ამ გარდაწყვეტილებასთან ერთად სამინისტრომ ისიც დაადგინა, რომ რამდენჯერმე შენიშნულნი ცხენის ქურდობაში საადმინისტრაციო წესით იყვნენ გარდასახლებულნი თავის ქვეყნიდგან.

— საერო განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა ერთმანეთში მოილაპარაკეს და გარდასწყვიტეს, რომ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების ებრაელთა შვილებს მოუსპოთ რუსეთის უმაღლესსა და საშუალო სასწავლებლებში სწავლის უფლება, რადგანაც ამ ებრაელებს რუსეთის იმპერიაში ცხოვრების ნება არა აქვთო. ეს უფლება ისევ შერჩებათ მხოლოდ იმ ებრაელების შვილებს, რომელნიც, თუმცა უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი არიან, მაგრამ ვაჭრობის პირველის გილდის მოწმობა აქვთ მიღებული რუსეთში და ამიტომ ნებაც აქვთ რუსეთში ცხოვრებისა. ამათი შვილები თუ მოწმობას წარუდგენენ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების მთავრობას, რომ მათი მშობლები მართლა პირველის გილდის ვაჭრები არიან, მაშინ უფლება მიეცემათ, მიღებულ იქმნან და ისწავლონ ამ სასწავლებლებში.

— განკარგულება მოხდა, რომ მოსკოვში კლასიკურის ენების მასწავლებელთა წრე დაარსდეს. ამ წრეს ის დანიშნულება ექნება, რომ დაეხმაროს და ღირსეული შემწეობა აღმოუჩინოს ძველის ენების რიგიანად შესწავლის საქმეს. წრეს თავისი ორგანო-ჟურნალი ექნება.

— თურქესტნის ბამბის მომყვანნი შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რომ იმიერ კასპიის რკინის გზაზე ბამბის გადატან-გადმოტანა გაადვილდეს, რათა წარმატებას შეღავათი მიეცეს და გაძლიერდეს. ეს შუამდგომლობა იმას გამოუწვევია, რომ ამ ჟამად ძლიერ თურმე ბანდდება ბამბის ჩაბარება და გაგზავნა, დანიშნულებისამებრ.

— 15 დეკემბერს ვარშავაში გამოფენა გაიმართება, სახსოვრად 450 წლისა ბეჭდვის მოგონების აქეთ და 50 წლისა ფოტოგრაფიის გამოგონების შემდეგ. ვარშაველი ფოტოგრაფები და მესტამბეები განსაკუთრებით ამ აზრით აპირობენ ამ გამოფენას და შემდეგი განყოფილებები უნდა მოაწყონ: 1) ძველი ხელთ-ნაწერები, ძველი ნაბეჭდი წიგნები და ძველებური ყდები, 2) ქაღალდის ნიმუშები, 3) საბეჭდი წამლები, 4) ასოების ნიმუშები და ექვსიც კიდევ სხვა განყოფილება სხვა-და-სხვა სასტამბო და საფოტოგრაფიო იარაღებისა და მასალებისა.

— ვარშაველს მეხანიკოსს ადოლფ კრეიცს ერთგვარი ბოქლომი (კლიტე) მოუგონია, რომელიც იმითია შესანიშნავი და სასარგებლო, რომ ბოროტ-გამზრახველი ვერც შერჩეულის გასაღებით და ვერც ლურსმით ვერ გააღებს, რადგანაც, ცდილობის დროს, ბოქლომში დატანებული წამალი იფეთქებს ხოლმე და საშინელი გრიალი გააქვს თურმე. თუ ნამდვილის თავის გასაღებით გაიღო ეს ბოქლომი, მაშინ-კი არაფერი ხმაურობა არ გამოდის. კრეიცს, დიდი ხანია, ფიქრადა ჰქონია ამ ნაირის ბოქლომის მოგონება, მაგრამ აქამდის ვერაფერი ვერა გაუწყია-რა. ეხლა-კი მის შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. იმის ბოქლომით დაკეტილს სახლს არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეს, შეიძლება პატრონი სოფლად წავიდეს მთელი ზაფხული და დარწმუნებული იყვეს, რომ სახლი და ავეჯი ისევ ხელ-უხლებელი დახვდება.

— ვიატკის გუბერნიის სოფ. ომუტინის ქარხნის მცხოვრებელს გლეხს, სტეფანე უსტინოვს, საშინელი მხეცური ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია. ცოცხალი ჩაუფლავს მიწაში თავისი ექვსის თვის ქალი, რომელიც ცოლ-ქმართა გაყრის შემდეგ იმასთან დარჩენილა. 29 ივნისს, დილით, წასულა სასაფლაოზე, რომელიც ორის ვერსის მოშორებით თურმე არის სოფელზე, ამოუთხრია ბარით ერთის არშინის სიღრმე საფლავი, შემდეგ დაბრუნებულა შინ, წაუყვანია თავისი შვილი, ყირამალა ჩაუგდია საფლავში და მიწა მიუყრია. ყველა ეს ისე ადრიან და ჩუმად ჩაუდენია უსტინოვსა, რომ კაცი ვერ შენიშნავდა თურმე, მაგრამ მოწამის თვალს მაინც ვერ ასცდენია. ქარხანაში მომუშავე ქალებს დაენახათ, რომ ბავშვიანად გაიარა და უბავშვოდ დაბრუნდაო და ეკითხათ, შვილი სად წაიყვანეო. უსტინოვს ჯერ ეთქვა, ამა და ამას მივაბარეო, მაგრამ ბოლოს, როცა იმის სიცრუე გაეგოთ, გამოტყდარიყო, რომ ცოცხალი დავმარხე მიწაშიო. საკვირველი ის არის, რომ ამ კაცს არც სიმთვრალით ჩაუდენია ეს საქმე და არც ჭკუა შეშლილობით. ყველანი თურმე ამბობენ, რომ უსტინოვი გადაჭარბებით არა სვამდა და იმ დილასაც ფხიზელი იყოვო. საქმე გამომძიებელს გადასცემია და დამნაშავე შეუპყრიათ და დაუტუსაღებიათ.

# წვრილი ამბები

სანამ ჯვარს დაიწერდა სტენლი, ავად გახდა თურმე და ლოგინად ჩავარდა, მაგრამ ქორწილი მაინც აღარ გადასდო და დანიშნულ ვადაზე გადიხადა. ჯვარის წერაზე აუარებელი ხალხი დაესწრო; დიპლომატებსა, ლიტერატორებსა და მეცნიერებს ყოველ მხრიდგან თავ-თავისი წარმომადგენელი გამოეგზავნათ. თითონ სტენლი ისე უღონოდ იყო, რომ ფეხ-ზე ძლივსა დგებოდა და ჯოხს დაჰყრდნობოდა. სტენლის სურვილისამებრ, ჯვარის წერა 25 წუთზე მეტს ხანს არ გაგრძელებულა. ახალგაზდა მეფე-დედოფალს ინგლისის დედოფლის ვიქტორიასაგან მოუვიდათ მისის უდიდებულესობის სურათი ბრილიანტებით შემკული, უელსის პრინცისაგან ვერცხლის საშაქრე, ალმასის ფრინველებით მოწყობილი, და სხ. და სხ. ერთის სიტყვით, სტენლი და იმის ახალგაზდა მეუღლე სრულიად აივსნენ საჩუქრებით. გარდა ამისა, ინგლისის ყველა გამოჩენილმა მწერალმა გადასცა თავს თავ-თავისი თხზულებანი და ერთს წამს იმდენი წიგნი შეიკრიბა, რომ ერთი კარგი ბიბლიოთეკა შესდგება. ისაუზმეს იქვე სასძლოს დედისას, და მერე ცოლ-ქმარნი მაშინვე მელხენ-კორტს გაემართნენ. როდესაც ახალგაზდა ქალი გამოეთხოვებია დედასა და ნათესავებს, უთქვამს, რომ: „დღეის იქით სრულიად ახალს ცხოვრებას ვიწყებ, ჩემი მომავალი უცნობსა და გამოუკვლეველს ქვეყანას მომაგონებს, მაგრამ არ მეშინიან: სტენლი ჩემთან არის".

— ქორწილი ჩინეთში. ჩინეთში მშობლები შვილების აღზრდას მაგდენად არაფრად დასდევენ და უფრო იმასა სცდილობენ, რომ, რაც შეიძლება, ჩვენს შვილებს ცოლი ადრე შევრთოთო. ადრე ცოლის შერთვა იმიტომა აქვთ ჩვეულებად, რომ შვილების რიცხვმა იმატოს, შთამომავლობა ძლიერ გამრავლდესო. ვისაც დიდ-ძალი შვილები ჰყავს, საზოგადოებაში დიდი სახელი და პატივი აქვს მოპოვებული და, მართლაც, მთელს ქვეყანაზე ისე კარგად არსად ასრულებენ მცნებას: „გამრავლდითო", როგორც ჩინეთში. აქ ერთი შესანიშნავი ჩვეულება უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ამ ყოვლისფრით თავისებურის ხალხისა: ჩინელი არამც თუ უფრო მახლობელ ნათესავს, არამედ თავის გვარისასაც-კი არ შეირთავს. ჩინეთის სახელმწიფოს საძირკვლად ოჯახი აქვს დადებული. ყოველი წევრი სახელმწიფოსი უფრო ოჯახს ეკუთვნის, ვიდრე თვით სახელმწიფოს, ასე-რომ იმის თქმაც-კი შეიძლება, რომ ჩინელი ოჯახსა ჰყავს დამონავებულიო. ჩინელიც სულ იმას სცდილობს, რომ ოჯახში როგორმე საპატიო ადგილი დაიჭიროს, ჩემს სიტყვასაც გასავალი ჰქონდეს, სხვებში გამორჩეული არ ვიყოო. ჩინელის დედაკაცს თუ ქმარი მოუკვდა და მაღალის წოდების ოჯახს ეკუთვნის, ხელ მეორედ გათხოვება სასტიკად აკრძალება, მაინც კიდევ ოჯახში უნდა იყოს ჩაბმული და სანამ ცოცხალი იქნება, თავის გარდაცვალებულის ქმრის გვარს უნდა ემსახურებოდეს. დაბალ წოდების ოჯახში ქვრივს თუმცა კანონი ნებას აძლევს გათხოვებისას, მაგრამ ამ გვარი საქციელი ხალხს არ მოსწონს და ზნეობის წინააღმდეგად მიაჩნია. საზოგადოდ, არც ქვრივი, მოისურვებს ხოლმე თავის ოჯახის დატოვებას და ხელ-ახლად გათხოვებას. ზოგიერთი ქალი თავის მოკვლას არჩევს. ამ გვარი ჩვეულება არ გაგვიკვირდება, თუ საქმეს კარგად ჩავუკვირდებით. ჩინე-

ლი ქალი მუდამ თავის ოჯახის კერას და ქმარ-შვილს დასტრიალებს თავს, სხვას ვისმე არც-კი დაუნახვება ხოლმე, არსად გადის და გამოდის, თავის მიწა-წყლის იქით ფეხს არ ადგამს, მხოლოდ იქ უნახავს და იქ გამოუცდია სიხარული და ბედნიერება და ამიტომ მწარედ დასტოვებს იმ ალაგს, სადაც თავის სიყმაწვილის დღენი დაულევია, იმ ოჯახს, რომლისათვისაც მთელი თავისი გული და გონება გადაუგია.

◆◆

# დეპეშა

24 ივლისი

პეტერბურგი. უმაღლესად გამოცხადებულია ბრძანება იმ ღონისძიებათა შესახებ, თუ როგორ გაუადვილონ სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისგან მომგებ გირავნობის ფურცლების მყიდველთ ფულის გადახდა. ვისაც სამი ხელობა უკვე შეუტანია ფული, უფლება ეძლევა, იმის მაგიერ, რომ დანარჩენი ფული ორ წილად გადიხადონ, ორმოც-ორმოცი მან. ჯერზე, ოთხ წილად შეიტანოს ოც-ოცი მან. 1890 წ. 15 ნოემბერს და 1891 წ. 15 მარტს, 15 მაისს და 15 ნოემბერს.

რუსების ამხანაგობამ გარდასწყვიტა, რომ შეკრებული ფული მიტაეში აქსაკოვის სახელობაზე კურლინდიაში რუსულ სკოლების გამართვას მოახმარდეს.

რუსულ სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოებამ მოსკოვის უნივერსიტეტისამ ხელ-ახლად დანიშნა პრემია იმათთვის, ვინც უკეთესს დრამატიულ თხზულებას წარმოადგენს 1890 წლის პირველ ოკტომბრამდე.

„Нов. Вр.“ იუწყება, რომ რუსულ ენის შესწავლის გასაადვილებლად ფინებისათვის, მთავრობას განზრახვა აქვს, დააარსოს უფასო კურსები რუსულ ენისა იქაურს სოფლის მასწავლებელთათვის.

„С.-Пб. Вѣд.“ იუწყება, რომ 1892 წლიდგან აიკრძალება ჩრდილოეთიდგან ხომალდებით უცხო ქვეყნების საქონლის შემოტანა ციმბირში.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ მოლაპარაკება აქვთ, ფიქრებს გემებზედაც იგივე შეღავათი მისცენ, რაც რკინის-გზებზედ ეძლევათ.

«Новости»-ის სიტყვით, მთავრობას განზრახვა აქვს, საყასბოების გამართვის ნება კერძო კაცებს ჩამოართვას და მხოლოდ საქალაქო და საერო დაწესებულებებს მიანიჭოს. ამასთანავე ამ დაწესებულებებს დაევალებათ, რაც შეიძლება, მალე გამართონ რიგიანი საყასბოები ქალაქებსა და დიდს სოფლებში. უმაღლესი ზედამხედველობა ამ საყასბოებისა თვით მთავრობას ექმნება. ამ ღონის ძიებით მთავრობას ჰსურს, თავიდგან აიცილოს ხალხსა გაფუჭებულის ხორცის ყიდვა-ხმარება და გზა შეუღობოს საქონლის ჭირის გავრცელებას.

ბერლინი. გუშინ გაიმართა მეათე საერთაშორისო სამკურნალო კონგრესი, რომელზედაც შეიკრიბა 5,000 მკურნალი, მათ შორის დოქტორი მკურნალობისა, თვალის ექიმი კარლ-თეოდორ ბავარიისაც. კონგრესის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნენ: ვირხოვი (გერმანელი), ლასსარი (ინგლისელი), მარტენი (ფრანგი) და ბარდელებენი (გერმანელი).

ვენა. პრინცმა ფერდინანდ კობურგისამ ამ დღეებში თავისი ძმა ჰნახა შლადმინგს, შტირიაში. შტირიაშივე იმყოფება ამ ჟამად ჯარების ალლუმის სანახავად ავსტრიის იმპერატორიცა. გუშინ, საღამოს, პრინცი ფერდინანდი ვენგრიაში გაემგზავრა მეორე ძმის სანახავად.

კისსინგენი. აქ მოვიდა თავადი ბისმარკი გრაფ ჰერბერტ ბისმარკითურთ. ხალხი ალტაცებით მიეგება.

25 ივლისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია კანონები შეღავათისა სამხედრო ბეგარის გადახდის საქმეში იმათ მიერ, ვისაც მიუღია წოდება შტურმანისა ან კაბოტაჟად მოსიარულე გემების შკიპერისა; გამოცხადებულია აგრეთვე კანონები ტურკესტანისა და სემიპალატინსკის ოლქების სატამოჟნოების დაარსებისა, პურის-საცავებისა ხორბლად ხარკოვ-ნიკოლაევისა რკინის-გზის სადგურებზე და ინსტრუქცია იმისი, თუ რა წესით უნდა მიეცეს მსურველთ მოწმობა და ბილეთი ვაჭრობისა და წარმოებისათვის. პურის-საცავების დასამართავად ხარკოვ-ნიკოლაევის რკინის-გზაზე უნდა გადაიდოს ერთი მილიონი მანათი. აქედამ 800,000 მან. ელევატორების დამართვას უნდა მოხმარდეს ნიკოლაევის პორტში.

ასხაბადი. აქ მცხოვრები სპარსეთის მწვალებელნი ბაბიდებისა შუამდგომლობენ ამიერ-კასპიის ოლქის უფროსის წინაშე, რუსეთის ქვეშევრდომებათ მიგვიღეთო.

პარიჟი. სენტეტიენის ქვა-ნახშირის მღვიმე-მაღაროებში ორჯერ კიდევ იფეთქა ნარევმა ორის წილის წყალ-მბადისამ და ერთის წილის მჟავმბადისამ. ამ უბედურების გამო 17 მადნის მთხრელი დაშავდა, მათ შორის ზოგნი მძიმედ არიან დაშავებულნი.

სოფია. აქაურმა წარმომადგენელმა გერმანიისამ მოითხოვა რუსეთის სახელით ხლოპკოვი დაუბრუნეთ რუსეთსა და გაუგზავნეთ აგრეთვე ამონაწერები ყველა იმ საბუთებიდამ, რომელიც შეეხება ხლოპკოვის ბრალდებასაო.

ვენა. პრინცი ფერდინანდ კობურგისა ვენგრიიდამ, საცა თავის ძმის სანახავად იყო, ბოლგარიაშივე დაბრუნდება.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ივლისი.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 6, 73$\frac{1}{2}$ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 134$\frac{3}{4}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . | — „ | 1 11 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 231$\frac{1}{2}$ |
| —მეორისა . . . . | 215 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | 216 | — „ | 214$\frac{1}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუაღღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბთობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვიდაზე გემები.

# განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ სამმართველოში, «ქართ. წიგნების მბეჭდავ ამხანაგობისა» და ზაქ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში

პრიკლონი

გამოცემული გრ. თოიძისაგან.

ფასი 20 კაპ.

(3—2)

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ მეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომგაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . . | „ | | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . | „ | | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | | 25 |

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმოდ:

ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (СѢРНЫЙ ЦВѢТЪ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—28)




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბერლინში

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური საწიავებელი, გორველის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხები, სათესი მაშინები, სარეში და სხვანი.

რაც პარიზელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—38)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ, 25-го Іюля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე